

შპს „გეოპლანტი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2024
წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
და დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	8
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება	9
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	10

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „გეოპლანტი“-ს მფლობელებს

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „გეოპლანტი“-ს (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის, 2023 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებებისგან, კონსოლიდირებული მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებებისგან აღნიშნული თარიღებით დასრულებული წლებისათვის და განმარტებით შენიშვნებს, რომელიც მოიცავს არსებით სააღრიცხვო პოლიტიკასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

ჩვენი აზრით, გარდა პირობითი დასკვნის საფუძვლის სექციაში მოცემული საკითხების შესაძლო ეფექტებისა, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის, 2023 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ შედეგებსა და კონსოლიდირებულ ფულად ნაკადებს აღნიშნული თარიღებით დასრულებული წლებისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ არ დავაკვირდით 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით 855 ათასი ლარის ოდენობის მარაგების დათვლას, რადგან მხოლოდ ამ თარიღის შემდეგ დავინიშნეთ ჯგუფის აუდიტორებად. ალტერნატიული საშუალებებითაც ვერ დავრწმუნდით არსებული მარაგების რაოდენობის სისწორეში. შედეგად, ჩვენ ვერ დავადგინეთ, შეიძლება ყოფილიყო თუ არა საჭირო კორექტირება მარაგებთან და მასთან დაკავშირებულ ელემენტებთან მიმართებაში, რომლებიც შეადგენენ კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებებს 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის. ჩვენი მოსაზრება 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე, რომელიც დათარიღებულია 2025 წლის 12 მარტით, მოდიფიცირებული იქნა შესაბამისად. მიმდინარე წლის გაერთიანებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე ჩვენი მოსაზრებაც მოდიფიცირებულია, ამ საკითხის შესაძლო გავლენის გამო მიმდინარე წლის მაჩვენებლებისა და შედარებადი მაჩვენებლების თანმიმდევრულობაზე.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ჯგუფისგან „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ (IESBA) „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა“ (IESBA კოდექსი) და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ საქართველოში ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობისას მოპოვებული მტკიცებულებები წარმოადგენს პირობითი აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიანად წარდგენაზე, ფასს-ების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლის ისეთი მექანიზმების შემუშავებაზე, რომლებსაც ხელმძღვანელობა საჭიროდ მიიჩნევს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჯგუფის უნარის შეფასებაზე, განაგრძოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ, და მოახდინოს მსგავსი შეფასების წარდგენა მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს ჯგუფის ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებებისა.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენს მიზანს წარმოადგენს, გონივრული რწმუნების მიღება იმის თაობაზე არის თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალი თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან და აუდიტორთა დასკვნის გაცემა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ ასს-ს საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებული არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და მიიჩნევა არსებითად, თუ მათ შეუძლიათ, ცალკე ან ერთობლივად, გავლენა მოახდინონ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინაჩრუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ასევე, ჩვენ:

- ვახდენთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმის უზრუნველსაყოფად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას
- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა ჯგუფის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატავად;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას;

- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს ჯგუფის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენ ვალდებული ვართ აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არსებულ შესაბამის განმარტებაზე, ან თუ ამგვარი განმარტება არაადეკვატური იქნება, მოდიფიცირება გავუკეთოთ ჩვენს მოსაზრებას. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს ჯგუფი შეწყვიტოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ;
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მთლიან წარმოდგენას, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ძირითად ოპერაციებს და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას სამართლიანად წარდგენა;

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენს მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია:



მარიამ არაქელაშვილი

შპს „იუ ეიჩ ვაი“

თბილისი, საქართველო

2025 წლის 19 აგვისტო

‘000 ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	1 იანვარი 2023
აქტივები				
ძირითადი საშუალებები	12	9,973	10,433	10,806
არამატერიალური აქტივები		-	1	2
გრძელვადიანი აქტივები		9,973	10,434	10,808
მარაგები	13	902	1,207	855
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15	422	715	791
გადახდილი ავანსები	14	59	73	228
ფული და ფულის ეკვივალენტები	16	579	3	5
გასაყიდად გამიზნული აქტივები	17	4,213	4,529	5,257
მოკლევადიანი აქტივები		6,175	6,527	7,136
სულ აქტივები		16,148	16,961	17,944
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		20,252	10,196	6,503
დაგროვილი ზარალი		(15,199)	(12,197)	(9,435)
სულ საკუთარი კაპიტალი	18	5,053	(2,001)	(2,932)
ვალდებულებები				
სესხები და კრედიტები	20	2,394	3,589	11,522
გრძელვადიანი ვალდებულებები		2,394	3,589	11,522
სესხები და კრედიტები	20	7,364	13,597	6,309
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	21	864	1,271	2,219
სახელშეკრულებო ვალდებულებები		261	308	588
გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა		212	197	238
მოკლევადიანი ვალდებულებები		8,701	15,373	9,354
სულ ვალდებულებები		11,095	18,962	20,876
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		16,148	16,961	17,944

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია 10 - 42 გვერდებზე

კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

‘000 ლარი	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი	5	3,824	2,631
გაყიდვების თვითღირებულება	6	(2,355)	(1,489)
სხვაობა აღებული მოსავლის თვითღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას შორის, გაყიდვის ღირებულების გამოკლებით	7	(36)	(74)
მარაგების ანარიცხის მოძრაობა	13	2	(22)
საერთო მოგება		1,435	1,046
ფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალი	15	(8)	(96)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	8	(1,236)	(1,118)
გაყიდვის და მარკეტინგის ხარჯი	9	(975)	(887)
სხვა ხარჯები	10	(246)	(152)
საოპერაციო საქმიანობის შედეგები		(1,030)	(1,207)
ფინანსური დანახარჯები		(1,972)	(1,594)
ფინანსური შემოსავალი		-	39
სულ წმინდა ფინანსური დანახარჯები	11	(1,972)	(1,555)
წლის ზარალი		(3,002)	(2,762)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
ზარალი და სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		(3,002)	(2,762)

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ და მათი სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 19 აგვისტოს შემდეგი პირების მიერ:

ლევან გოგავა

დირექტორი

ირაკლი დავითაია

ფინანსური დირექტორი


კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია 10 - 42 გვერდებზე


შპს „გეოპლანტი“

კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

‘000 ლარი	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი	5	3,824	2,631
გაყიდვების თვითღირებულება	6	(2,355)	(1,489)
სხვაობა აღებული მოსავლის თვითღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას შორის, გაყიდვის ღირებულების გამოკლებით	7	(36)	(74)
მარაგების ანარიცხის მოძრაობა	13	2	(22)
საერთო მოგება		1,435	1,046
ფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალი	15	(8)	(96)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	8	(1,236)	(1,118)
გაყიდვის და მარკეტინგის ხარჯი	9	(975)	(887)
სხვა ხარჯები	10	(246)	(152)
საოპერაციო საქმიანობის შედეგები		(1,030)	(1,207)
ფინანსური დანახარჯები		(1,972)	(1,594)
ფინანსური შემოსავალი		-	39
სულ წმინდა ფინანსური დანახარჯები	11	(1,972)	(1,555)
წლის ზარალი		(3,002)	(2,762)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
ზარალი და სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		(3,002)	(2,762)

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ და მათი სახელით ხელმოწერილია 2025 წლის 19 აგვისტოს შემდეგი პირების მიერ:




ირაკლი დავითაია
ფინანსური დირექტორი

კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია 10 - 42 გვერდებზე

‘000 ლარში	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს		6,503	(9,435)	(2,932)
ზარალი და სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში				
წლის ზარალი		-	(2,762)	(2,762)
ოპერაციები ჯგუფის მესაკუთრეებთან				
შენატანები საწესდებო კაპიტალში		3,693	-	3,693
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	18	10,196	(12,197)	(2,001)
ნაშთი 2024 წლის 1 იანვარს		10,196	(12,197)	(2,001)
ზარალი და სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში				
წლის ზარალი		-	(3,002)	(3,002)
ოპერაციები ჯგუფის მესაკუთრეებთან				
შენატანები საწესდებო კაპიტალში		10,056	-	10,056
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	18	20,252	(15,199)	5,053

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია 10 - 42 გვერდებზე.

‘000 ლარი	შენიშვნა	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის ზარალი		(3,002)	(2,762)
<i>კორექტირებები:</i>			
ცვეთა და ამორტიზაცია	12	393	381
ზარალი გასაყიდად გამიზნული აქტივების გასვლიდან	10	174	73
მარაგების ანარიცხების მოძრაობა	13	(2)	22
წმინდა ფინანსური დანახარჯი	11	1,972	1,555
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ზარალი	15	8	96
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები სამუშაო კაპიტალში ცვლილებამდე		(457)	(635)
<i>ცვლილებები:</i>			
მარაგები		307	(374)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		314	(17)
გაცემული ავანსები		14	155
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		(409)	(939)
სახელშეკრულებო ვალდებულებები		(47)	(280)
გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა		15	(41)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები პროცენტის გადახდამდე		(263)	(2,131)
გადახდილი პროცენტები		(1,209)	(1,313)
წმინდა ფულადი სახსრები გამოყენებული საოპერაციო საქმიანობაში		(1,472)	(3,444)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
მიღებული პროცენტი		-	5
გასაყიდად გამიზნული აქტივების რეალიზაციიდან		260	655
მიღებული შემოსულობები			
ძირითადი საშუალებების შეძენა	12	(50)	(7)
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		210	653
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
შემოსავალი კაპიტალის გაზრდიდან		10,056	3,693
შემოსულობები სესხებიდან		650	-
სესხების დაფარვა	20 (ბ)	(8,880)	(903)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		1,826	2,790
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება)		564	(1)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვარს		3	5
გაცვლითი კურსების მოძრაობების ეფექტი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		12	(1)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბერს	16	579	3

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია 10 - 42 გვერდებზე.

სარჩევი

1. ანგარიშვალდებული საწარმო	11
2. აღრიცხვის საფუძველი	12
3. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა	13
4. შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება	14
5. შემოსავალი	15
6. გაყიდვების თვითღირებულება	15
7. სხვაობა აღებული მოსავლის თვითღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას შორის, გაყიდვის ღირებულების გამოკლებით	16
8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	16
9. გაყიდვის და მარკეტინგის ხარჯი	16
10. სხვა ხარჯები	17
11. წმინდა ფინანსური დანახარჯი	17
12. ძირითადი საშუალებები	18
13. მარაგები	20
14. გადახდილი ავანსები	21
15. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	21
16. ფული და ფულის ეკვივალენტები	22
17. გასაყიდად გამიზნული აქტივები	22
18. საკუთარი კაპიტალი	22
19. კაპიტალის მართვა	23
20. სესხები და კრედიტები	23
21. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	25
22. სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა	25
23. პირობითი ვალდებულებები	31
24. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	31
25. შეფასების საფუძველი	32
26. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკები	32
27. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული	42
28. საანგარიშგებო თარიღის შემდგომი მოვლენები	42

1. ანგარიშვალდებული საწარმო

(ა) საქართველოს ბიზნეს გარემო

ჯგუფის საქმიანობა ხორციელდება საქართველოში, შესაბამისად, ჯგუფზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი ნორმები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი განსხვავებულ ინტერპრეტაციებს ექვემდებარებიან და განიცდიან ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო სირთულეებთან ერთად, ხელს უწყობს გამოწვევებს, რომელიც საქართველოში მოქმედი ორგანიზაციების წინაშეა.

2022 წლის თებერვალში, რუსეთის ფედერაციასა და უკრაინას შორის შეიარაღებული კონფლიქტის გამო, რიგმა ქვეყნებმა დააწესეს სანქციები რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ. კონფლიქტი გავლენას ახდენს არა მხოლოდ ორი ქვეყნის ეკონომიკურ საქმიანობაზე, არამედ გლობალურ ეკონომიკაზეც. სანქციების შედეგად, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გაიზარდა ფასები საყოფაცხოვრებო საქონელსა და სურსათზე, დაირღვა არსებული კავშირები რესურსების მიწოდებას შორის, ინფლაცია ასევე მოქმედებს ფასებზე და ანალიტიკოსები ასევე პროგნოზირებენ ეკონომიკურ გავლენას გლობალურ ინდუსტრიაზე.

აღნიშნულმა მოვლენებმა საქართველოს ეკონომიკაზეც იქონია გავლენა და ქვეყნის ეკონომიკა ზემოთ აღწერილის შესაბამისად ექვემდებარება მომავალ გაურკვევლობებს; მეორე მხრივ, საქართველოს რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) ერთ წელიწადში 6,7%-ით გაიზარდა 2024 წლის დეკემბერში, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის („საქსტატი“) მიერ 2025 წლის 31 იანვარს გამოცემული სწრაფი შეფასების მიხედვით. ამასთან, წინა წელთან შედარებით მოსალოდნელმა რეალურმა მშპ-ის ზრდამ 2024 წელს 9.5% შეადგინა. „საქსტატის“ მონაცემებით, 2024 წლის დეკემბერში წლიურმა ინფლაციის დონემ 1,9% შეადგინა.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას ჯგუფის ოპერაციებსა და კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობაზე. ბიზნეს გარემო მომავალში შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

(ბ) ორგანიზაცია და ოპერაციები

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგება მოიცავს შპს „გეოპლანტის“ (კომპანია) და მისი შვილობილი კომპანიების („ჯგუფი“) ფინანსურ ანგარიშგებებს.

კომპანია (საიდენტიფიკაციო კოდი: 204888078) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას „მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის“ შესაბამისად. კომპანია დაარსდა 1996 წლის 22 აგვისტოს და მისი იურიდიული მისამართია საქართველო, ზუგდიდის რაიონი, სოფელი რუხი.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ჩაის პროდუქტების წარმოება ადგილობრივად მოკრეფილი და იმპორტირებული ჩაის ფოთლებისგან. კომპანია ფლობს მიწებს გურიის რეგიონში, სადაც კომპანიამ განავითარა ჩაის ბუჩქები და კრეფს ჩაის ფოთლებს, რომელიც შემდგომში გამოიყენება მზა ჩაის პროდუქტების წარმოებაში. კომპანია ყიდის ჩაის პროდუქტს საფირმო სახელწოდებით „გურიელი“, ადგილობრივ ბაზარზე და ექსპორტზე.

კომპანიის მფლობელთა სტრუქტურა არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	1 იანვარი 2023
ბობ მეიერი	29.2%	29.2%	29.2%
ბადრი ჯაფარიძე	28.35%	28.35%	28.35%
შპს ხაზარაძე ჰოლდინგ	28.35%	28.35%	28.35%
შპს გეოპლანტი	14.1%	14.1%	14.1%

ინფორმაცია შვილობილი კომპანიების შესახებ:

სტატუსი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	1 იანვარი 2023
შპს გეოპლანტ- ოზურგეთი ფუნქციონირებადი	100%	100%	100%
შპს გეოპლანტ-კოლხა ფუნქციონირებადი	100%	100%	100%
შპს გეოპლანტ- ყულიშკარი არა -ფუნქციონირებადი	-	75%	75%
შპს ზედა ეწერი-2 არა -ფუნქციონირებადი	-	100%	100%
შპს მთის ჩაი არა -ფუნქციონირებადი	-	100%	100%

ფუნქციონირებადი შვილობილი კომპანიების ძირითადი საქმიანობაა კომპანიისთვის სასაწყობე და ადმინისტრაციული ფართების გაქირავება.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის ჯგუფმა საკუთარი წილები არა-ფუნქციონირებად შვილობილ კომპანიებში: შპს გეოპლანტ-ყულიშკარი, შპს ზედა ეწერი-2 და შპს მთის ჩაი, გაასხვისა მესამე მხარეზე.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან განხილულია 24-ე შენიშვნაში.

2. აღრიცხვის საფუძველი

(ა) შესაბამისობა

ეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არის ჯგუფის პირველი წლიური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (ფასს) შესაბამისად, რომელიც გამოცემულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ. ჯგუფის ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2023 წლის 1 იანვარი. გარკვეული გამონაკლისის გარდა, ფასს მოითხოვს 2024 წლის 31 დეკემბერს მოქმედი სტანდარტების და ინტერპრეტაციების რეტროსპექტულ გამოყენებას საწყისი ფასს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ყველა შემდგომი პერიოდისთვის, რომლებიც წარმოდგენილია მის პირველ ფასს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად, ფასს-ზე გადასვლამდე, ჯგუფს არ მოეთხოვებოდა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება და აქამდეც არ მოუმზადებია ის წარსულში. შესაბამისად, შეჯერებები იმის შესახებ თუ როგორ მოხდა ანგარიშგების წინარე საბუღალტრო ჩარჩოებიდან ფასს-ზე გადასვლა და როგორ იმოქმედა ამან ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობაზე, კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებზე არ არის წარმოდგენილი ამ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფასს მოითხოვს რომ წარმოდგენილ იქნას ფასს-ზე გადასვლის თარიღის კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება და მოიცავს გარკვეულ სავალდებულო და არჩევით გამონაკლისებს ფასს-ის რეტროსპექტული გამოყენებისთვის. ჯგუფს არ გამოუყენებია რაიმე ზოგადი გამონაკლისი, რაც უკავშირდება ფასს 1-ის მიხედვით ერთი ან მეტი შესაბამისი კორექტირების შეუძლებლობას.

(ბ) ფუნქციონირებადი საწარმო

ჯგუფმა მიმდინარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა იმ დაშვების საფუძველზე, რომ გააგრძელებს საქმიანობას, როგორც ფუნქციონირებადი საწარმო. ხელმძღვანელობას და მფლობელებს აქვთ განზრახვა განაგრძონ ჯგუფის ბიზნესი საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ.

2024 წლის 31 დეკემბერს და 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისათვის ჯგუფის წმინდა ზარალმა შეადგინა 2,946 ათასი ლარი და 2,762 ათასი ლარი, შესაბამისად. ჯგუფის წმინდა მიმდინარე ვალდებულება 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო 2,470 ათასი ლარი და 8,846 ათასი ლარი, შესაბამისად (2023 წლის 1 იანვარი: 2,218 ათასი ლარი).

ჯგუფის ლიკვიდურობის მდგომარეობის და ფინანსური მაჩვენებლების გათვალისწინებით, ამავდროულად, შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებული გაურკვევლობის ფონზე, ხელმძღვანელობა აფასებს, რომ უარეს სცენარში მას დამატებითი დაფინანსება დასჭირდება ფინანსური ვალდებულებების შესასრულებლად.

ჯგუფმა მიიღო მხარდაჭერის წერილი მფლობელისგან. წერილი გამოხატავს მზადყოფნას დააფინანსოს ჯგუფის საკონტრაქტო ვალდებულებები, თუ ასეთი საჭიროება წარმოიშობა, რათა უზრუნველყოს ჯგუფის საქმიანობის უწყვეტობა მინიმუმ 12 თვის განმავლობაში კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების გამოქვეყნებიდან. თუ ჯგუფი ვერ შეძლებს დაფინანსების მოპოვებას ან სხვა ქმედებების განხორციელებას ამ გარემოებების საპასუხოდ აღნიშნულ ვადაში, შესაძლოა მათ ვერ შეძლონ საქმიანობის გაგრძელება.

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია ჯგუფისათვის. წინამდებარე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე და არ შეიცავს რაიმე სახის კორექტირებას აქტივების, ვალდებულებებისა და გამჟღავნებული ხარჯების საბალანსო ღირებულებებში და კლასიფიკაციაში, რაც სხვაგვარად შეიძლება მოითხოვებოდეს, თუ ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველი არ იქნებოდა შესაბამისი.

3. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტაა ქართული ლარი, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს ჯგუფის სამუშაო ვალუტას და ვალუტას, რომელშიც წარმოდგენილია წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება. ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ათასეულამდე, გარდა სხვაგვარად მითითებული შემთხვევებისა.

4. შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება

ფასს-თან შესაბამისი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს მსჯელობებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებაზე და წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობებზე და პირობითი აქტივებისა და ვალდებულებების შესახებ ახსნა-განმარტებებზე. განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისგან.

შეფასებების და ძირითადი დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგების აღიარება ხდება იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა მათი გადახედვა და ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზეც მათ ექნებათ გავლენა.

ინფორმაცია კრიტიკული მსჯელობების შესახებ, რომლებიც გამოიყენება სააღრიცხვო პოლიტიკების შემუშავებისას და რომელთაც აქვთ ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე, განსაზღვრულია შემდეგ შენიშვნებში:

- შენიშვნა 26 (ი) (iii) – ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები
- შენიშვნა 12 – ძირითადი საშუალებების მიჩნეული ღირებულების განსაზღვრა
- შენიშვნა 14 – ფინანსური აქტივების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი

სამართლიანი ღირებულებების შეფასება

ჯუჯფის რამდენიმე სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტება მოითხოვს ფინანსური და არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრას. სამართლიანი ღირებულებები განისაზღვრა შეფასებისა და განმარტების მიზნებისათვის. სამართლიანი ღირებულება, შეფასების ტექნიკაში გამოყენებულ მონაცემებზე დაყრდნობით, იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის შემდეგ დონეებად:

- დონე 1: აქტიურ ბაზრებზე კოტირებული ფასები (დაუკორექტირებელი) იდენტური აქტივებისა ან ვალდებულებებისთვის.
- დონე 2: ამოსავალი მონაცემები აქტივისა ან ვალდებულებისთვის, გარდა კოტირებული ფასებისა, რომლებიც შეტანილია 1-ელ დონეში, და რომლებიც ემპირიულია პირდაპირ (მაგ. ფასები) ან არაპირდაპირ (მაგ. ფასებისგან წარმოებული).
- დონე 3: ამოსავალი მონაცემები აქტივისა ან ვალდებულებისთვის, რომლებიც არ ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (არაემპირიული ამოსავალი მონაცემები).

თუ აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული ამოსავალი მონაცემების კატეგორიებად დაყოფა შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის ფარგლებში, მთლიანად სამართლიანი ღირებულების შეფასება სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეს მიეკუთვნება, რომელსაც მიეკუთვნება ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემები, რაც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

სამართლიანი ღირებულების შეფასებისას გაკეთებული დაშვებების შესახებ დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია შენიშვნა 22 (ა) -ში სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა.

5. შემოსავალი

‘000 ლარი	2024	2023
შემოსავალი წარმოებული ჩაის პროდუქტების რეალიზაციიდან - ადგილობრივი ბაზარი	2,465	2,048
შემოსავალი წარმოებული ჩაის პროდუქტების რეალიზაციიდან - ექსპორტი	1,233	291
შემოსავალი როიალტისგან *	72	287
სხვა შემოსავალი	54	5
სულ შემოსავალი	3,824	2,631

*ჯგუფი გამოიმუშავებს როიალტის შემოსავალს სს „ქართული ლუდის კომპანია“-სგან, რომლის ფარგლებშიც მას აქვს ნება, გამოიყენოს „გურიელის“ ბრენდის სახელი და ლოგო მისი წარმოებული ჩაის გაყიდვისათვის.

2024 და 2023 წლებში, ჯგუფმა აღიარა გაყიდვებიდან დაბრუნებები 86 ათასი ლარისა და 119 ათასი ლარის ოდენობით, შესაბამისად.

(ა) სახელშეკრულებო ნაშთები

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია ინფორმაცია მომხმარებლებთან დადებული ხელშეკრულებებიდან მიღებული მოთხოვნების და სახელშეკრულებო ვალდებულებების შესახებ.

‘000 ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	1 იანვარი 2023
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15	422	715	791
სახელშეკრულებო ვალდებულებები		261	308	588

2024 წლის 31 დეკემბერს და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ არის მოწოდებული ინფორმაცია დარჩენილი შესასრულებელი ვალდებულებების შესახებ, რომელთა თავდაპირველი მოსალოდნელი ვადა არ აღემატება ერთ წელს, როგორც ნებადართულია ფასს 15-ს მიხედვით.

6. გაყიდვების თვითღირებულება

‘000 ლარი	შენიშვნა	2024	2023
წარმოებული საქონლის გაყიდვის თვითღირებულება		1,733	881
მზა პროდუქციაზე მიკუთვნებული ზედნადები ხარჯები		451	437
ძირითადი საშუალებების ცვეთა	12	171	171
გაყიდვების თვითღირებულება		2,355	1,489

7. სხვაობა აღებული მოსავლის თვითღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას შორის, გაყიდვის ღირებულების გამოკლებით

'000 ლარი	2024	2023
აღებული მოსავლის თვითღირებულება	(135)	(204)
სოფლის მეურნეობის პროდუქტის თავდაპირველი ღირებულება	99	130
სხვაობა აღებული მოსავლის თვითღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას შორის, გაყიდვის ღირებულების გამოკლებით	(36)	(74)

2024 და 2023 წელს, სხვაობა აღებული მოსავლის თვითღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას შორის, გაყიდვის ღირებულების გამოკლებით არის აღიარებული, როგორც ზარალი კონსოლიდირებული მოგება-ზარალის და სხვა შემოსავლის ანაგარიშგებაში, სოფლის მეურნეობის პროდუქტის თავდაპირველი აღიარების დროს მოსავლის აღიარების მომენტში.

8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

'000 ლარი	შენიშვნა	2024	2023
დასაქმებულთა გასამრჯელოები		615	570
ცვეთა და ამორტიზაცია	12	185	174
საკონსულტაციო და პროფესიული ხარჯები		184	57
გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა		60	110
მივლინების ხარჯები		34	52
დაბალი ღირებულებისა და მოკლევადიანი იჯარის ხარჯები		18	22
კომუნალური ხარჯები		15	19
საწვავის ხარჯები		12	10
საბანკო გადასახადები		11	4
მოვლისა და შეკეთების ხარჯები		4	6
საოფისე ხარჯები		4	3
წარმომადგენლობითი ხარჯები		2	9
სადაზღვევო ხარჯები		2	5
სხვა		90	77
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი		1,236	1,118

9. გაყიდვის და მარკეტინგის ხარჯი

'000 ლარი	2024	2023
განაწილებისა და გაყიდვების ხარჯები	850	686
რეკლამის ხარჯები	96	102
ტრანსპორტირების ხარჯები	29	68
სხვა	-	31
სულ გაყიდვის და მარკეტინგის ხარჯი	975	887

10. სხვა ხარჯები

‘000 ლარი	2024	2023
ზარალი გასაყიდად გამიზნული აქტივების და ძირითადი საშუალებების გასვლიდან	174	73
სხვა გადასახადები	48	46
საქონლის უსასყიდლოდ გადაცემა	-	8
სხვა	24	25
სულ სხვა ხარჯები	246	152

11. წმინდა ფინანსური დანახარჯი

‘000 ლარი	შენიშვნა	2024	2023
საკუროსო სხვაობით განპირობებული წმინდა მოგება		-	34
საპროცენტო შემოსავლები საბანკო ანგარიშების ნაშთებზე		-	5
ფინანსური შემოსავალი		-	39
საკუროსო სხვაობით განპირობებული წმინდა ზარალი		(483)	-
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები - საპროცენტო ხარჯი	20	(1,489)	(1,594)
ფინანსური დანახარჯები		(1,972)	(1,594)
წმინდა ფინანსური დანახარჯი		(1,972)	(1,555)

12. ძირითადი საშუალებები

‘000 ლარი	მიწის ნაკვეთები	შენობები და დანადგარები და ნაგებობები	საწარმოო ხაზი	პროგრამული უზრუნველყოფისა და საოფისე აღჭურვილობა	იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესება	ნაყოფის მომცემი კულტურები	სხვა	სულ
მიჩნეული თვითღირებულება								
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	3,572	3,076	1,831	36	78	2,217	27	10,837
შესყიდვები	-	-	-	7	-	-	-	7
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,572	3,076	1,831	43	78	2,217	27	10,844
ნაშთი 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	3,572	3,076	1,831	43	78	2,217	27	10,844
შესყიდვები	47	-	-	3	-	-	-	50
გასვლა	(32)	-	(7)	-	-	(86)	-	(125)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,587	3,076	1,824	46	78	2,131	27	10,769
დაგროვილი ცვეთა								
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	-	-	-	(31)	-	-	(31)
ცვეთა წლის განმავლობაში	-	(120)	(185)	(9)	(17)	(45)	(4)	(380)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(120)	(185)	(9)	(48)	(45)	(4)	(411)
ნაშთი 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	(120)	(185)	(9)	(48)	(45)	(4)	(411)
ცვეთა წლის განმავლობაში	-	(122)	(185)	(10)	(16)	(54)	(5)	(392)
გასვლა	-	-	2	-	-	5	-	7
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(242)	(368)	(19)	(64)	(94)	(9)	(796)
საბალანსო ღირებულება								
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	3,572	3,076	1,831	36	47	2,217	27	10,806
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,572	2,956	1,646	34	30	2,172	23	10,433
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,587	2,834	1,456	27	14	2,037	18	9,973

2024 წელს, 186 ათასი ლარის, 171 ათასი ლარის და 36 ათასი ლარის ცვეთის ხარჯი (2023: 174 ათასი ლარი, 171 ათასი ლარი და 36 ათასი ლარი) შევიდა საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯში, გაყიდვის თვითღირებულებაში/მარაგებში, სხვაობაში აღებული მოსავლის თვითღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას შორის, გაყიდვის ღირებულების გამოკლებით, შესაბამისად.

(ა) მიჩნეული ღირებულების განსაზღვრა

2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ძირითადი საშუალებების მიჩნეული ღირებულების განსაზღვრისათვის, ხელმძღვანელობამ დაიქირავა დამოუკიდებელი შემფასებელი. ძირითადი საშუალებების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა 10,759 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც მიეკუთვნება სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის იერარქიის მე-2 დონეს გამოყენებული შეფასების ტექნიკის მონაცემებზე დაყრდნობით (იხ. შენიშვნა 4).

ძირითადი საშუალებებში შემავალი შემდეგი კლასებისთვის: „შენობები და ნაგებობები“ და „ნაყოფის მომცემი კულტურები“, რეალური ღირებულება განისაზღვრა ამორტიზებული ჩანაცვლების ღირებულების გამოყენებით, რადგან ეს კლასები სპეციალიზირებულია ბუნებით და იშვიათად იყიდება ღია ბაზარზე. ეს მეთოდი ითვალისწინებს ძირითადი საშუალებების ჩანაცვლების ხარჯებს, რომლებიც კორექტირებულია ფიზიკური, ფუნქციონალური და ეკონომიკური ცვლილებებით. ხოლო ძირითადი საშუალებების შემდეგი კლასებისთვის: „მიწის ნაკვეთები“, დანადგარები და საწარმოო ხაზი“, ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი“, სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის მიზნებისთვის ჯგუფმა გამოიყენა საბაზრო მიდგომა.

ამორტიზებული ჩანაცვლების ღირებულება შეფასდა შიდა წყაროებისა და საქართველოს ბაზრის ანალიზის საფუძველზე მსგავსი ძირითადი საშუალებებისთვის. ბაზრის მონაცემები შეგროვდა გამოქვეყნებული საჯარო ინფორმაციის, სტატისტიკური მონაცემების და ა.შ. მეშვეობით.

2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ამორტიზირებული ჩანაცვლების ღირებულების გამოყენებით, ძირითადი საშუალებების მიჩნეული ღირებულების განსაზღვრისას ხელმძღვანელობამ გამოავლინა ძირითადი ორი დაშვება, რომლებშიც შესაძლო იყო გონივრულად სავარაუდო ცვლილება, რაც გამოიწვევდა მიჩნეული ღირებულების ცვლილებას. ზემოაღნიშნული შეფასებები განსაკუთრებით მგრძნობიარეა შემდეგ სფეროებში:

- გამოყენებული ფიზიკური, ფუნქციონალური და ეკონომიკური ცვლილების განაკვეთების 1%-ით ზრდა/(შემცირება) გამოიწვევდა მიჩნეული ღირებულების 31 ათასი ლარით (შემცირებას)/ზრდას, შესაბამისად.
- ერთეულ ჰექტარზე მოსავლიანი ჩაის ნარგავების გაშენებაზე გასაწევი ხარჯების 1%-ით ზრდა/(შემცირება) გამოიწვევდა მიჩნეული ღირებულების 22 ათასი ლარით ზრდას/(შემცირებას), შესაბამისად.

(ბ) უზრუნველყოფა

2024 წლის 31 დეკემბრის, 2024 წლის 1 იანვრისა და 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ძირითადი საშუალებების ერთეულები 1,438 ათასი ლარის საბალანსო ღირებულებით, წარმოადგენს მესამე მხარისგან მიღებული სესხის უზრუნველყოფას (შენიშვნა 20).

13. მარაგები

‘000 ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	1 იანვარი 2023
მასალები და ნედლეული	569	712	665
დაუმთავრებელი წარმოება	197	188	140
მზა პროდუქცია	154	328	48
სხვა	2	1	2
სულ მარაგები	922	1,229	855
ანარიცხი	(20)	(22)	-
სულ წმინდა მარაგები	902	1,207	855

14. გადახდილი ავანსები

‘000 ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	1 იანვარი 2023
საქონლისა და მასალებისთვის გაცემული ავანსები	59	73	228
სულ გადახდილი ავანსები	59	73	228

15. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

‘000 ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	1 იანვარი 2023
სავაჭრო მოთხოვნები		547	833	811
სხვა მოთხოვნები		1	-	2
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		548	833	813
შემცირება: გაუფასურების ზარალის ანარიცხი		(126)	(118)	(22)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, წმინდა	5	422	715	791

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხების მოძრაობა მოცემულია ქვემოთ:

‘000 ლარი	2024	2023
გაუფასურების ანარიცხები 1 იანვრისთვის	(118)	(22)
წლის დარიცხვა	(22)	(98)
წლის აღდგენა	14	2
გაუფასურების ანარიცხები 31 დეკემბრისთვის	(126)	(118)

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი შეიცავს ინფორმაციას სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ვადიანობის ანალიზის შესახებ, 2024 წლის 31 დეკემბრის, 2023 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით.

	31 დეკემბერი 2024		31 დეკემბერი 2023		1 იანვარი 2023	
‘000 ლარი	მთლიანი საბალანსო ღირებულება	გაუფასურება ანარიცხი	მთლიანი საბალანსო ღირებულება	გაუფასურება ანარიცხი	მთლიანი საბალანსო ღირებულება	გაუფასურება ანარიცხი
დაბალი რისკი	293	-	370	-	622	-
საშუალო რისკი	132	(4)	361	(16)	173	(6)
მაღალი რისკი	122	(122)	102	(102)	16	(16)
	547	(126)	833	(118)	811	(22)

ინფორმაცია ჯგუფის საკრედიტო, საპროცენტო განაკვეთის და სავალუტო რისკებზე დაქვემდებარების შესახებ და მგრძნობელობის ანალიზი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისთვის, წარმოდგენილია 22-ე შენიშვნაში.

16. ფული და ფულის ეკვივალენტები

‘000 ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	1 იანვარი 2023
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	440	3	5
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	139	-	-
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	579	3	5

ინფორმაცია ჯგუფის საკრედიტო და სავალუტო რისკებზე დაქვემდებარების შესახებ და მგრძნობელობის ანალიზი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისთვის, წარმოდგენილია 22-ე შენიშვნაში.

17. გასაყიდად გამიზნული აქტივები

ჯგუფის ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება ძირითადი საშუალებების კლასის - „ნაყოფის მომცემი კულტურების“ გარკვეული ოდენობის გაყიდვის შესახებ. შესაბამისად, ამ აქტივების ნაწილი წარმოდგენილია როგორც გასაყიდად გამიზნული აქტივები. გასაყიდად გამიზნული აქტივების გაყიდვის მცდელობები დაიწყებულია და გაყიდვა მოსალოდნელია 12 თვის განმავლობაში.

‘000 ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	1 იანვარი 2023
გასაყიდად გამიზნული აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4,213	4,529	5,257
სულ გასაყიდად გამიზნული აქტივები	4,213	4,529	5,257

სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული კუმულაციური შემოსულობა ან ხარჯი.

გასაყიდად გამიზნულ აქტივებთან დაკავშირებით სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული კუმულაციური შემოსულობა ან ზარალი არ არსებობს.

ინფორმაცია გასაყიდად გამიზნული აქტივების (ნაყოფის მომცემი კულტურები) სამართლიანი ღირებულების შეფასების მეთოდის შესახებ წარმოდგენილია მე-12 შენიშვნაში.

(ა) უზრუნველყოფა

2024 წლის 31 დეკემბრის, 2024 წლის 1 იანვრისა და 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, გასაყიდად გამიზნული აქტივების ერთეულები 1,953 ათასი ლარის, 2,255 ათასი ლარისა და 2,057 ათასი ლარის საბალანსო ღირებულებით, შესაბამისად, წარმოადგენს მესამე მხარისგან მიღებული სესხის უზრუნველყოფას (შენიშვნა 20).

18. საკუთარი კაპიტალი

(ა) საწესდებო კაპიტალი

2024 წლის 31 დეკემბრის, 2023 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით, ჯგუფს ჰქონდა საწესდებო კაპიტალი 20,252 ათასი ლარის, 10,196 ათასი ლარის და 6,503 ათასი ლარის ოდენობით, შესაბამისად. საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კაპიტალის ნომინალურ ღირებულებას ჯგუფის სადამფუძნებლო დოკუმენტებში.

საწესდებო კაპიტალის მესაკუთრეებს უფლება აქვთ მიიღონ დროდადრო გამოცხადებული დივიდენდები და ისინი უფლებამოსილი არიან ისარგებლონ ჯგუფში მათ საკუთრებაში არსებული წილის შესაბამისი ხმის უფლებით.

(ბ) დივიდენდები

ჯგუფი დივიდენდს გასცემს გაუნაწილებელი მოგებიდან. 2024 წლის 31 დეკემბრის, 2023 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვარის მდგომარეობით, ჯგუფის დაგროვილი ზარალი შეადგენდა 15,143 ათას ლარს, 12,197 ათას ლარს და 9,435 ათას ლარს, შესაბამისად.

19. კაპიტალის მართვა

ჯგუფს არ აქვს კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა, თუმცა, ჯგუფი მიზნად ისახავს შეინარჩუნოს ძლიერი კაპიტალური ბაზა, ჯგუფის საოპერაციო და სტრატეგიული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და ბიზნესის მომავალი განვითარების მხარდასაჭერად. აღნიშნული მიიღწევა ფულადი სახსრების ეფექტური მართვით, ჯგუფის შემოსავლებისა და მოგების მუდმივი მონიტორინგის გზით, და გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმებით, რომლებიც ძირითადად ჯგუფის საოპერაციო ფულადი ნაკადებით ფინანსდება.

ამ ზომების გამოყენებით, ჯგუფი მოგების სტაბილურ ზრდას გეგმავს. ჯგუფის კაპიტალის მართვის მიდგომაში წლის განმავლობაში ცვლილებები არ განხორციელებულა. ჯგუფი არ ექვემდებარება გარედან დაწესებულ კაპიტალთან დაკავშირებულ მოთხოვნებს.

ჯგუფის კორექტირებული წმინდა დავალიანების ფარდობა საკუთარ კაპიტალთან არის შემდეგი:

'000 ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	1 იანვარი 2023
სულ ვალდებულებები	11,039	18,962	20,876
გამოკლებული: ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	579	3	5
წმინდა ვალდებულებები	10,460	18,959	20,871
სულ საკუთარი კაპიტალი	5,053	(2,001)	(2,932)
წმინდა ვალდებულებების ფარდობა საკუთარ კაპიტალთან	2.07	(9.47)	(7.12)

20. სესხები და კრედიტები

წინამდებარე შენიშვნაში განსაზღვრულია ინფორმაცია ჯგუფის პროცენტური სესხებისა და კრედიტების სახელშეკრულებო პირობების შესახებ, რომლებიც ფასდება ამორტიზებული ღირებულებით. დამატებითი ინფორმაცია ჯგუფის საპროცენტო განაკვეთის, უცხოური ვალუტისა და ლიკვიდურობის რისკებზე დაქვემდებარების შესახებ განხილულია 21-ე შენიშვნაში.

'000 ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	1 იანვარი 2023
გრძელვადიანი ვალდებულებები			
უზრუნველყოფილი მესამე მხარისგან მიღებული სესხი	2,394	3,589	4,630
არაუზრუნველყოფილი გამოშვებული ობლიგაცია *	-	-	6,892

'000 ლარი	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	1 იანვარი 2023
	2,394	3,589	11,522
მიმდინარე ვალდებულებები			
უზრუნველყოფილი მესამე მხარისგან მიღებული სესხი	1,195	1,041	912
სესხები მფლობელებისგან	6,113	5,608	5,309
არაუზრუნველყოფილი საბანკო სესხი	56	56	56
არაუზრუნველყოფილი გამოშვებული ობლიგაცია *	-	6,892	32
	7,364	13,597	6,309

* 2022 წლის 27 დეკემბერს ჯგუფმა გამოუშვა 2,560 ათასი აშშ დოლარის ობლიგაციები, 2024 წლის 27 დეკემბერს დაფარვის ვადით 9,00%—იანი კუპონური განაკვეთით. ობლიგაციები წარმოადგენს არაუზრუნველყოფილ ვალდებულებას, რომლებიც ჯგუფმა გამოსყიდა მათი დაფარვის თარიღისთვის.

(ა) სესხის ვადა და დაფარვის გრაფიკი

დაუფარავი სესხების დაფარვის ვადა და პირობები იყო შემდეგი:

’000 ლარი				31 დეკემბერი 2024		31 დეკემბერი 2023		1 იანვარი 2023	
სესხები	პირობა	ვალუტა	დასრულების თარიღი	ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება	ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება	ნომინალური ღირებულება	საბალანსო ღირებულება
უზრუნველყოფილი მესამე მხარისგან მიღებული სესხი	13.75%	ლარი	8/24/2027	3,589	3,589	4,630	4,630	5,542	5,542
სესხი მფლობელისგან	7%	დოლარი	მოთხოვნამდე	2,990	2,990	2,722	2,722	2,595	2,595
სესხი მფლობელისგან	7%	დოლარი	მოთხოვნამდე	1,727	1,727	1,572	1,572	1,496	1,496
სესხი მფლობელისგან	7%	დოლარი	მოთხოვნამდე	422	422	384	384	366	366
სესხი მფლობელისგან	7%	ევრო	მოთხოვნამდე	416	416	402	402	369	369
სესხი მფლობელისგან	15%	ლარი	მოთხოვნამდე	222	222	205	205	187	187
სესხი მფლობელისგან	7%	ევრო	მოთხოვნამდე	214	214	206	206	189	189
სესხი მფლობელისგან	7%	ევრო	მოთხოვნამდე	122	122	117	117	107	107
არაუზრუნველყოფილი საბანკო სესხი	18%	ლარი	მოთხოვნამდე	56	56	56	56	56	56
არაუზრუნველყოფილი გამოშვებული ობლიგაცია	9%	დოლარი	12/27/2024	-	-	6,892	6,892	6,924	6,924
				9,758	9,758	17,186	17,186	17,831	17,831

* სესხის საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ გამოქვეყნებულ ყოველთვიურ მინიმალურ განაკვეთს დამატებული 3.5%.

(ბ) ვალდებულებების მოძრაობის შეჯერება საფინანსო საქმიანობიდან წარმოშობილ ფულად ნაკადებთან:

	2024	2023
	<i>სესხები და კრედიტები</i>	<i>სესხები და კრედიტები</i>
’000 ლარი		
ვალდებულებები ფინანსური საქმიანობებიდან 1 იანვრის მდგონარეობით	17,186	17,831
ცვლილებები საფინანსო ფულადი ნაკადებიდან		
სესხებიდან მიღებული შემოსულობები	650	-
სესხის ძირის დაფარვა	(8,880)	(903)
სხვა ცვლილებები		
სესხის პროცენტის დაფარვა	(1,209)	(1,313)
სესხზე დარიცხული პროცენტი	1,489	1,594
გაცვლითი კურსების მოძრაობების ეფექტი	522	(23)
ვალდებულებები ფინანსური საქმიანობებიდან 31 დეკემბრის მდგონარეობით	9,758	17,186

21. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ჯგუფის სავაჭრო და სხვა ვალდებულებებთან დაკავშირებული სავალუტო და ლიკვიდურობის რისკებზე დაქვემდებარება განხილულია 21-ე შენიშვნაში.

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	1 იანვარი 2023
’000 ლარი			
სავაჭრო ვალდებულებები	607	986	1,878
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები	257	285	341
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	864	1,271	2,219

22. სამართლიანი ღირებულებები და რისკის მართვა

(ა) სამართლიანი ღირებულების შეფასება

ჯგუფის მიერ 2024 წლის 31 დეკემბერს, 2023 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით ფლობილი ყველა ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება კოტირებული ფასებით შეფასების მეთოდის გამოყენებით აქტიურ ბაზრებზე და ასევე ბაზრის ემპირიული ამოსავალი მონაცემებით.

სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-2 და მე-3 დონეში სამართლიანი ღირებულებები შეფასდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდის გამოყენებით.

სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონით შეფასებული სამართლიანი ღირებულება და იმ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც არ ფასდება სამართლიანი ღირებულებით, არის შემდეგი:

‘000 ლარი	შენიშვნა	დონე	2024 წლის 31 დეკემბერი	
			საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	16	1-ლი დონე	579	579
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15	მე-3 დონე	422	422
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	21	მე-3 დონე	864	864
სესხები და კრედიტები	20	მე-3 დონე	9,758	9,758

‘000 ლარი	შენიშვნა	დონე	2023 წლის 31 დეკემბერი	
			საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	16	1-ლი დონე	3	3
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15	მე-3 დონე	715	715
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	21	მე-3 დონე	1,271	1,271
სესხები და კრედიტები	20	მე-3 დონე	17,186	17,186

‘000 ლარი	შენიშვნა	დონე	2023 წლის 1 იანვარი	
			საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	16	1-ლი დონე	5	5
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15	მე-3 დონე	791	791
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	21	მე-3 დონე	2,219	2,219
სესხები და კრედიტები	20	მე-3 დონე	17,831	17,831

სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები და დაშვებები:

- ▶ ფული და ფულის ეკვივალენტების, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების, სავაჭრო და სხვა ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მათ საბალანსო ღირებულებას არის მიახლოებული, ამ ინსტრუმენტების მოკლევადიანი დაფარვის ვადების გამო;
- ▶ ფიქსირებული განაკვეთის მქონე სესხების და კრედიტების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით მოქმედ ბაზარზე საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული განაკვეთების გამოყენებით;

(ბ) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად ჯგუფი შემდეგი რისკების წინაშე დგას:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საბაზრო რისკი;

რისკის მართვის სტრუქტურა

ჯგუფის ხელმძღვანელობას აკისრია სრული პასუხისმგებლობა ჯგუფის რისკების მართვის სტრუქტურის დადგენასა და ზედამხედველობაზე.

ჯგუფის რისკების მართვის პოლიტიკები განისაზღვრება მის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებისა და ანალიზისთვის, შესაბამისი რისკების საზღვრებისა და საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისთვის და რისკებისა და საზღვრების დაცვის გაკონტროლებისთვის. რისკების მართვის პოლიტიკები და სისტემები რეგულარულად გადაიხედება ბაზრის პირობებისა და ჯგუფის საქმიანობაში ცვლილებების ასახვის მიზნით. სასწავლო და მართვის სტანდარტების და პროცედურების გამოყენებით ჯგუფის მიზანს წარმოადგენს დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემოს შექმნა, რომელშიც ყველა თანამშრომელს გააზრებული ექნება თავისი ფუნქცია და ვალდებულება.

(ა) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ მეორე მხარე ვერ შეასრულებს ფინანსური ინსტრუმენტით ან მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და ამით ჯგუფს ფინანსური ზარალი მიადგება. ჯგუფის საკრედიტო რისკი აქვს საოპერაციო საქმიანობის (ძირითადად, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გამო) და ფინანსური საქმიანობის ნაწილში, ასევე ბანკებსა და საფინანსო დაწესებულებებში განთავსებული მიმდინარე ანგარიშებიდან.

ჯგუფის მასქსიმალურ საკრედიტო რისკის მოცულობას წარმოადგენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების და ფულასა და მათი ეკვივალენტების საერთო ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის, 2023 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით, რომელიც არის შემდეგი:

	საბალანსო ღირებულება		
	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	1 იანვარი 2023
'000 ლარი			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	422	715	791
ფული და მათი ეკვივალენტები	579	3	5
სულ	1,001	718	796

ფული და მათი ეკვივალენტები

ჯგუფი საკრედიტო რისკს მართავს ხელმისაწვდომი ფულადი სახსრების უდიდესი ნაწილის საქართველოს წამყვან ბანკებში განთავსებით, რომელსაც მინიჭებული აქვს მოკლევადიანი დეფოლტ რეიტინგი B შეფასებული Fitch-ის სარეიტინგო სააგენტოს მიერ. ჯგუფის ხელმძღვანელობა მუდმივ რეჟიმში აკონტროლებს იმ ბანკების სტატუსს, რომლებშიც განთავსებულია ფულადი სახსრები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ჯგუფს მიაჩნია, რომ არაგაუფასურებული ვადაგადაცილებული ოდენობების ამოღება სავარაუდოდ მოხერხდება, ისტორიული გადახდების გამოცდილების და შესაბამისი კლიენტების საკრედიტო რეიტინგის ანალიზის მიხედვით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. მომხმარებელთა საკრედიტო რისკის მონიტორინგის დროს, მომხმარებლები ჯგუფდებიან მათი საკრედიტო მახასიათებლების მიხედვით, მათ შორის იმის გათვალისწინებით, მომხმარებელი ფიზიკური პირია თუ იურიდიული პირი, ასაკობრივი ჯგუფის, დაფარვის ვადის და წარსულში არსებული ფინანსური სირთულეების ფაქტების გათვალისწინებით. ჯგუფი აწესებს გაუფასურების რეზერვს, რომელიც წარმოადგენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებული მოსალოდნელი ზარალის ვარაუდს. ამგვარი რეზერვების ძირითად შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს კოლექტიური ზარალის კომპონენტი. ჯგუფის სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად მომდინარეობს ადგილობრივი საბითუმო მომხმარებლისგან რომელთაც აქვთ ჯგუფთან სამუშაო ურთიერთობის გრძელვადიანი გამოცდილება და კარგი საკრედიტო ისტორია.

(ბ) ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფი სირთულეებს შეხვდება იმ ფინანსური ვალდებულებების შესრულებაში, რომლებიც დაკმაყოფილებულია ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდების გზით. ჯგუფის მიდგომა ლიკვიდურობის რისკის მართვისადმი არის, შესაძლებლობის ფარგლებში, იმის უზრუნველყოფა, რომ მას ყოველთვის ჰქონდეს საკმარისი ლიკვიდურობა მისი ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად, მათი დაფარვის ვადის დადგომისას, როგორც ჩვეულებრივ, ასევე კრიზისულ პერიოდებში, მიუღებელი ზარალის გაწევის ან ჯგუფის რეპუტაციისთვის ზიანის მიყენების გარეშე.

2024 წლის 31 დეკემბრისა, 2023 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით, ჯგუფის სესხებისა და კრედიტების ნაწილი შეადგენდა 6,113 ათას ლარს, 5,608 ათას ლარს და 5,309 ათას ლარს შესაბამისად, რომლებიც ჯგუფის მფლობელისგანაა მიღებული. თუმცა, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ჯგუფი არ არის მნიშვნელოვნად რისკის ქვეშ ლიკვიდობის მხრივ მფლობელისგან მიღებული სესხების გამო. გარდა ამისა, ჯგუფის მაკონტროლებელი პირი აცხადებს, რომ იგი უზრუნველყოფს, ახლო მომავალში, ფინანსურ და სხვა მხარდაჭერას ჯგუფისთვის, რათა ჯგუფმა გააგრძელოს ოპერირება, რის გამოც არ არსებობს გაურკვევლობა ჯგუფის ფუნქციონირებადობის საფუძველი შესახებ.

ლიკვიდურობის რისკზე დაქვემდებარება

ქვემოთ წარმოდგენილია ფინანსური ვალდებულებების ნარჩენი სახელშეკრულებო ვადები საანგარიშგებო თარიღებისთვის. თანხები წარმოდგენილია ბრუტო და არადისკონტირებული ფორმით და მოიცავს სავარაუდო საპროცენტო გადახდებს:

‘000 ლარი	საბალანსო ღირებულება	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები	მოთხოვნამდე	1 წლის განმავლობაში	1-3 წელი
2024 წლის 31 დეკემბერი					
მესამე მხარის სესხი	3,589	4,266	-	1,600	2,666
სესხები მფლობელებისგან	6,113	6,113	6,113	-	-
საბანკო სესხი	56	56	56	-	-
სავაჭრო ვალდებულებები	864	864	864	-	-
	10,622	11,299	7,033	1,600	2,666

‘000 ლარი	საბალანსო ღირებულება	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები	მოთხოვნამდე	1 წლის განმავლობაში	1-3 წელი
2023 წლის 31 დეკემბერი					
გამოშვებული ობლიგაცია	6,892	7,483	-	7,483	-
მესამე მხარის სესხი	4,630	11,599	-	3,200	8,399
სესხები მფლობელებისგან	5,608	5,608	5,608	-	-
საბანკო სესხი	56	56	56	-	-
სავაჭრო ვალდებულებები	1,271	1,271	1,271	-	-
	18,457	26,017	6,935	10,683	8,399

‘000 ლარი	საბალანსო ღირებულება	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები	მოთხოვნამდე	1 წლის განმავლობაში	1-3 წელი
2023 წლის 1 იანვარი					
გამოშვებული ობლიგაცია	6,924	8,118	-	600	7,518
მესამე მხარის სესხი	5,542	14,852	-	3,253	11,599
სესხები მფლობელებისგან	5,309	5,309	5,309	-	-
საბანკო სესხი	56	56	56	-	-
სავაჭრო ვალდებულებები	2,219	2,219	2,219	-	-
	20,050	30,554	7,584	3,853	19,117

(გ) საბაზრო რისკი

რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს სავალუტო გაცვლითი კურსების და საპროცენტო განაკვეთების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს ჯგუფის შემოსავლებზე ან მის ხელთ არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკის მართვის მიზანს წარმოადგენს საბაზრო რისკებზე დამოკიდებულების მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის პროცესში. ჯგუფი არ იყენებს ჰეჯირების ანგარიშგებას მოგებასა თუ ზარალში მერყეობის მართვის მიზნით.

i. სავალუტო რისკი

ჯგუფი ექვემდებარება სავალუტო რისკს იმდენად რამდენადაც არსებობს შეუსაბამობა იმ ვალუტებს შორის რომლებშიც დენომინირებულია შესყიდვები და კრედიტები და ჯგუფის სამუშაო ვალუტას შორის. ჯგუფის სამუშაო ვალუტა არის ქართული ლარი. ვალუტები, რომლებშიც ძირითადად დენომინირებულია ეს ოპერაციები არის ევრო და აშშ დოლარი.

სავალუტო რისკზე დაქვემდებარება

ჯგუფის დაქვემდებარება უცხოურ სავალუტო რისკზე იყო შემდეგი:

‘000 ლარი	აშშ დოლარში დენომინირებული 2024 წლის 1 იანვარი	ევროში დენომინირებული 2024 წლის 1 იანვარი
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	69
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3	-
სესხები და კრედიტები	(752)	(5,139)
წმინდა დაქვემდებარება	(749)	(5,070)

‘000 ლარი	აშშ დოლარში	ევროში	აშშ დოლარში	ევროში
	დენომინირებული	დენომინირებული	დენომინირებული	დენომინირებული
	2023 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 1 იანვარი	2023 წლის 1 იანვარი
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	32	60	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	(375)	-	(567)
სესხები და კრედიტები	(725)	(11,570)	(655)	(11,381)
წმინდა დაქვემდებარება	(693)	(11,885)	(655)	(11,948)

წლის განმავლობაში გამოიყენებოდა შემდეგი მნიშვნელოვანი გაცვლითი კურსები:

	საშუალო კურსი		საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სპოტ-კურსი		
	2024	2023	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 1 იანვარი
1 აშშ დოლარი	2.7208	2,6598	2.9306	2,6998	2,7020
1 ევრო	2.9440	2,8785	2.9306	3,0159	2,8844

მგრძნობელობის ანალიზი

31 დეკემბრის მდგომარეობით ლარის კურსის გონივრული შესაძლო გამყარება/(შესუსტება), ქვემოთ მოცემულის შესაბამისად, ყველა სხვა ვალუტასთან მიმართებაში იმოქმედებდა უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაზე და მოგებაზე ან ზარალზე ქვემოთ წარმოდგენილი ოდენობებით. ანალიზი გაკეთდა იმ დაშვების საფუძველზე, რომ ყველა სხვა ცვლადი, კერძოდ საპროცენტო განაკვეთები, უცვლელი დარჩებოდა და გამორიცხავს საპროგნოზო გაყიდვების და შესყიდვების ნებისმიერ გავლენას.

‘000 ლარი	მოგება ან ზარალი	
	ლარის გამყარება	ლარის შესუსტება
31 დეკემბერი 2024		
აშშ დოლარი (10%-იანი მოძრაობა)	75	(75)
ევრო (10%-იანი მოძრაობა)	507	(507)
31 დეკემბერი 2023		
აშშ დოლარი (10%-იანი მოძრაობა)	69	(69)
ევრო (10%-იანი მოძრაობა)	1,189	(1,189)
1 იანვარი 2023		
აშშ დოლარი (10%-იანი მოძრაობა)	67	(67)
ევრო (10%-იანი მოძრაობა)	1,195	(1,195)

23. პირობითი ვალდებულებები

(ა) პირობითი საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ ბუნდოვანი და ურთიერთგამომრიცხავია და ერთმანეთისაგან განსხვავებული ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. საგადასახადო წელი ღია რჩება საგადასახადო უწყებების მიერ განსახილველად, სამი თანმიმდევრული კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, კონკრეტულ ვითარებებში საგადასახადო წელი შესაძლოა უფრო დიდი ხნით დარჩეს ღია. ეს ვითარება ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც, სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში გაცილებით უფრო საგრძნობია. ხელმძღვანელობა თვლის, რომ საგადასახადო ვალდებულებები მოქმედი საგადასახადო კოდექსის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტაციის ადეკვატურია.

თუმცა, საგადასახადო ორგანოების მიერ აღნიშნული კანონების ინტერპრეტირება შეიძლება განსხვავდებოდეს ჯგუფისეული ინტერპრეტაციისაგან და თუ საგადასახადო ორგანომ შეძლო საკუთარი ინტერპრეტირების არგუმენტირება, მაშინ აღნიშნულმა გარემოებამ შეიძლება არსებითი გავლენა მოახდინოს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

(ბ) სასამართლო დავა

საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას, ჯგუფი დაქვემდებარებულია სარჩელებსა და საჩივრებს. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მოცემული სარჩელებიდან და საჩივრებიდან წარმოშობილ საბოლოო ვალდებულებას, ასეთის არსებობის შემთხვევაში, არ ექნება არსებითი უარყოფითი გავლენა ჯგუფის მომავალი ოპერაციების კონსოლიდირებულ შედეგებზე ან კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობაზე.

(გ) დაზღვევა

სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში განვითარების ფაზაშია, შესაბამისად მსოფლიოს სხვა ნაწილისათვის მიღებული სადაზღვევო დაცვის ბევრი ფორმა ჯერჯერობით საქართველოში სრულიად ხელმისაწვდომი არ არის. ჯგუფს არ აქვს სრული სადაზღვევო დაფარვა საკუთარ ძირითად საშუალებებზე, ბიზნეს საქმიანობის შეჩერებაზე ან მესამე პირთა მიმართებაში ქონებრივ ან გარემოსდაცვით ვალდებულებაზე, რომლებიც შესაძლოა წარმოიშვას ჯგუფის საკუთრებაზე მომხდარი უბედური შემთხვევების შედეგად ან ოპერაციებთან დაკავშირებით. სანამ ჯგუფი არ მიიღებს შესაფერის სადაზღვევო დაფარვას, არსებობს რისკი, რომ შესაძლო ზარალს ან ზოგიერთი აქტივის განადგურებას შეიძლება ჰქონდეს არსებითად საზიანო გავლენა ჯგუფის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე.

24. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

(ა) წამყვან ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული ოპერაციები

i. წამყვანი ხელმძღვანელობის ანაზღაურება

წამყვანმა ხელმძღვანელობამ პერიოდების განმავლობაში შემდეგი ანაზღაურება მიიღო, რომელიც საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებში შედის:

'000 ლარი	2024	2023
ხელფასები და სხვა სარგებელი	437	364
	437	364

(ბ) სხვა დაკავშირებულ მხარესთან ოპერაციები

	დაუფარავი ნაშთი		
	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023	1 იანვარი 2023
’000 ლარი			
მიღებული სესხები			
მფლობელი	6,112	5,608	5,309
	6,112	5,608	5,309

მფლობელებისგან მიღებულ სესხებზე დარიცხული პროცენტი 2024 წლის და 2023 წლის განმავლობაში შეადგენდა 121 ათას ლარს და 293 ათას ლარს, შესაბამისად. საკრედიტო ხელშეკრულების მიხედვით დასარიცხი პროცენტი მოცემული სესხების შემთხვევაში მერყეობდა 7 % - 15% მდე. სესხის ძირი თანხისა და პროცენტის დაფარვა წლის განმავლობაში არ მომხდარა.

25. შეფასების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე.

26. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკები

ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკა ჯგუფის მიერ თანმიმდევრულადაა გამოყენებული კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ყველა პერიოდის მიმართ.

ამასთანავე, 2023 წლის 1 იანვრიდან ჯგუფმა მიიღო „სააღრიცხვო პოლიტიკების განმარტებითი შენიშვნები“ (ბასს 1-ის და ფასს სტანდარტების პრაქტიკის დებულება 2-ის კორექტირებები). კორექტირებები მოითხოვს „არსებითი“ და არა „მნიშვნელოვანი“ სააღრიცხვო პოლიტიკების წარდგენას. მიუხედავად იმისა, რომ კორექტირებებს არ მოჰყოლია რაიმე ცვლილება თვითონ ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკებში, მათ გავლენა მოახდინეს გარკვეულ შემთხვევებში წარმოდგენილი სააღრიცხვო პოლიტიკების შესახებ ინფორმაციაზე.

(ა) კონსოლიდაციის საფუძველი

i. შვილობილი კომპანიები

შვილობილი კომპანიები წარმოადგენს ჯგუფის მიერ კონტროლირებულ საწარმოებს. ჯგუფი აკონტროლებს საწარმოს, როდესაც ის ექვემდებარება ან როდესაც მას აქვს უფლება ცვლად მონაგებზე საწარმოში მისი ჩართულობიდან და როდესაც მას შესწევს უნარი იმოქმედოს ამგვარ მონაგებზე საწარმოში მისი უფლებამოსილების გამოყენებით. შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგება შესულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კონტროლის დაწყების თარიღიდან, მისი დასრულების თარიღამდე. შვილობილი კომპანიების სააღრიცხვო პოლიტიკები შეიცვალა, როდესაც საჭირო გახდა მათი ჯგუფის მიერ მიღებულ პოლიტიკებზე მორგება.

ii. კონსოლიდაციისას ელიმინირებული ოპერაციები

ჯგუფის შიდა ოპერაციებიდან წარმოშობილი ჯგუფის შიდა ნაშთები და ოპერაციები, ასევე ნებისმიერი ჯგუფის შიდა ოპერაციებიდან წარმოშობილი არარეალიზებული შემოსავალი და ხარჯები, ელიმინირდება.

(ბ) ამონაგები

ჯგუფი აღიარებს შემოსავალს დაპირებული საქონლისა და მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც ჯგუფი მოელის ამ საქონლისა და მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. ჯგუფის შემოსავლის ძირითად ნაწილს წარმოადგენს წარმოებული ჩაის რეალიზაცია, რომელიც აღიარდება დროის გარკვეულ მომენტში, მაშინ როცა ხდება მოცემულ საქონელთან დაკავშირებული კონტროლის მომხმარებლისთვის გადაცემა.

ჯგუფი შემოსავალს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე/მომსახურებაზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა. კონტროლის გადაცემა ძირითადად ხდება როცა საქონელთან/მომსახურებასთან დაკავშირებული რისკი და სარგებელი გადაეცემა მომხმარებელს. რისკებისა და სარგებელის გადაცემის დრო განსხვავდება გაყიდვის ხელშეკრულების ინდივიდუალური პირობების მიხედვით. ადგილობრივი გაყიდვებისთვის, გადაცემა ჩვეულებრივ ხდება, როდესაც პროდუქტი იგზავნება საწყობიდან; თუმცა, ზოგიერთი საერთაშორისო გადაზიდვისთვის ტრანსფერი ძირითადად ხდება მომხმარებლის პორტში შესაბამის გადამზიდავზე საქონლის ჩატვირთვისას. ზოგადად, ასეთი პროდუქტების მყიდველს არ აქვს დაბრუნების უფლება.

(გ) ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

ჯგუფის ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები მოიცავს:

- ფასს 9-ის ფარგლებში დარიცხული საპროცენტო ხარჯს სესხებზე და კრედიტებზე;
- უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეულ შემოსულობას ან ზარალს ფინანსურ აქტივებსა და ფინანსურ ვალდებულებებზე;

საპროცენტო შემოსავლის ან ხარჯის აღიარება ხდება მისი მოგებაზე ან ზარალზე დარიცხვისთანავე, ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული შემოსულობა ან ზარალი წარმოდგენილია წმინდა საფუძველზე, როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი, რაც დამოკიდებულია იმ ფაქტზე, წარმოდგენილია თუ არა უცხოური ვალუტის მოძრაობა წმინდა მოგების ან წმინდა ზარალის პოზიციაში.

(დ) უცხოური ვალუტა**iii. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში**

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია ჯგუფის საწარმოების შესაბამის სამუშაო ვალუტაში ოპერაციების თარიღის შესაბამისი გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტირება ჯგუფის სამუშაო ვალუტაში ხდება საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ამონაგები ან ზარალი ფულად მუხლებზე წარმოადგენს სხვაობას პერიოდის დასაწყისში არსებულ სამუშაო ვალუტაში დენომინირებულ ამორტიზებულ ღირებულებას შორის (კორექტირებულ ეფექტური პროცენტით და გადახდებით პერიოდის განმავლობაში) და უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ამორტიზებულ ღირებულებას შორის, კონვერტირებულს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი ერთეულები, რომლებიც ფასდება პირვანდელი ღირებულებით, კონვერტირდება გარიგების განხორციელების თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოური ვალუტის კონვერტაციით წარმოშობილი სხვაობები აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(ე) დასაქმებულთა გასამრჯელოები

დასაქმებულთა მოკლევადიანი გასამრჯელოები ფასდება არადისკონტირებულ საფუძველზე და ხარჯად აღირიცხება შესაბამისი მომსახურების გაწევისას.

ვალდებულება აღიარდება იმ ოდენობით, რომლის გადახდაც მოსალოდნელია მოკლევადიანი ფულადი ბონუსის ფარგლებში, თუ ჯგუფს ექნება მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება გადაიხადოს ეს თანხა დაქირავებული პირის მიერ წარსულში გაწეული მომსახურების შედეგად და როდესაც ამგვარი ვალდებულება საიმედოდ შეიძლება იყოს შეფასებული.

(ვ) მოგების გადასახადი

2017 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი განაწილების თარიღამდე. კანონი ძალაში შევიდა 2017 წელს და გამოიყენება საგადასახადო პერიოდებისთვის 2018 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა საფინანსო დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში უნდა შესულიყო 2023 წლის 1 იანვრიდან.

2022 წელს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა ცვლილებები საფინანსო ინსტიტუტებისთვის მოქმედი კორპორაციული გადასახადის მოდელში, რომელიც 2023 წლიდან მოქმედებს. კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების მიხედვით, საფინანსო დაწესებულებების ნაწილი ესტონურ საგადასახადო მოდელზე აღარ გადავა.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან (CIT) გათავისუფლებას, ეს უკანასკნელი გადმოდის მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე: ე.ი. ძირითად დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას, როგორც აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. ამას გარდა, ზოგიერთი სხვა ოპერაციაც მიიჩნევა მოგების განაწილებად, მაგალითად არასაბაზრო ტრანსსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან, რომლებიც ასევე ითვლებიან განაწილებული მოგების მიმღებებად მოგების გადასახადის მიზნებისთვის. ამასთან საგადასახადო ობიექტი მოიცავს ხარჯებსა და სხვა გადახდებს, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობებს, უფასო მიწოდებები და ზღვრულ მოცულობაზე მეტი წარმომადგენლობითი ხარჯები.

დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება ხარჯის სახით იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად გადახდის ფაქტობრივი თარიღისა ან იმ პერიოდისა, რომლისთვისაც გადაიხდება დივიდენდები. საგადასახადო ვალდებულების თანხა დივიდენდების განაწილებაზე გამოითვლება როგორც წმინდა განაწილების თანხის 15/85-ი.

საგადასახადო ვალდებულების ჩათვლა გამოცხადებულ და გადახდილ დივიდენდებზე შესაძლებელია მოგების გადასახადზე, რომელიც გადაიხდება 2008-2016 წლებში გაუნაწილებელ მოგებაზე, თუ ამგვარი მოგება განაწილდება 2017 წელს ან შემდგომ წლებში.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს მოგების გადასახადის იმ კონკრეტულ ოპერაციებზე დარიცხვას, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობებს, უფასო მიწოდებები და ზღვრულ მოცულობაზე მეტი წარმომადგენლობითი ხარჯები. ჯგუფი ამგვარი ოპერაციის დაბეგვრას არ განიხილავს ბასს 12-ის (მოგების გადასახადები) ფარგლებში და გადასახადს ამგვარ ერთეულებზე აღრიცხავს როგორც გადასახადებს, მოგების გადასახადის გარდა.

(ზ) მარაგები

მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება გამოიანგარიშება „ფიფო“ (პირველი შემოსავალში - პირველი გასავალში) პრინციპის საფუძველზე და მოიცავს დანახარჯებს მარაგების შეძენაზე, წარმოებასა და გადამუშავებაზე და პირდაპირ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომლებიც აუცილებელია მარაგების მოცემულ ადგილსა და მოცემულ მდგომარეობაში მოსაყვანად.

საქმიანობის ჩვეულებრივად მიმდინარეობის პირობებში, წმინდა სარეალიზაციო ღირებულება წარმოადგენს მოსალოდნელ გაყიდვის ფასს, გამოკლებული სავარაუდო დასრულების და გაყიდვის ხარჯები.

ჯგუფის მიერ მოკრეფილი სოფლის მეურნეობის პროდუქცია ფასდება სამართლიანი ღირებულებით, მოსავლის აღების მომენტში გასაყიდი ხარჯების გამოკლებით, რომელიც წარმოადგენს სოფლის მეურნეობის პროდუქტების თვითღირებულებას ბასს 2-ის (მარაგები) მიზნებისათვის.

სხვაობა აღებული მოსავლის თვითღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას შორის, გაყიდვის ღირებულების გამოკლებით არის აღიარებული, როგორც ზარალი კონსოლიდირებული მოგება-ზარალის და სხვა შემოსავლის ანაგარიშებაში, სოფლის მეურნეობის პროდუქტის თავდაპირველი აღიარების დროს მოსავლის აღიარების მომენტში.

(თ) გასაყიდად გამიზნული აქტივები

აქტივი, ან გამსვლელი ჯგუფი, რომლებიც შედგება აქტივებისა და ვალდებულებებისგან, კლასიფიცირდება, როგორც გასაყიდად გამიზნული, თუ მისი საბალანსო ღირებულება ანაზღაურდება გაყიდვის გარიგებით და არა მისი გამოყენების გაგრძელებით.

ასეთ აქტივები, ან გამსვლელი ჯგუფი, ჩვეულებრივ, ფასდება საბალანსო ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას შორის უმცირესი ღირებულებით. გაუფასურების ზარალი გამსვლელ ჯგუფზე ჯერ უპირველეს ყოვლისა განაწილდება გუდვილზე, შემდეგ კი დარჩენილ აქტივებსა და ვალდებულებებზე პროპორციული წილის საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არანაირი ზარალი არ ნაწილდება მარაგებზე, ფინანსურ აქტივებზე ან აქტივზე თანამშრომელთა გასამრჯელოსთვის, რომელთა შეფასებაც გრძელდება ჯგუფის სხვა სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად. გაუფასურების ზარალი თავდაპირველად კლასიფიცირებული, როგორც გასაყიდად გამიზნული აქტივის და შემდგომი შემოსულობა ან ზარალი ხელახალი გადაფასების შედეგად აღირიცხება მოგება-ზარალში. შემოსულობა არ აღირიცხება კუმულაციური გაუფასურების ზარალის ოდენობაზე მეტი.

არამატერიალური აქტივები და ძირითადი საშუალებები, მას შემდეგ რაც კლასიფიცირდება, როგორც გასაყიდად გამიზნულ აქტივად ცვეთა/ამორტიზაცია აღარ დაერიცხება. მას შემდეგ, რაც წილობრივი მეთოდით აღრიცხული ინვესტიციები კლასიფიცირდება, როგორც გასაყიდად გამიზნული, მათი წილობრივი მეთოდით აღრიცხვა წყდება.

(ი) ძირითადი საშუალებები**i. აღიარება და შეფასება**

ძირითადი საშუალებების ერთეულები, გარდა მიწისა, ფასდება თვითღირებულებით დაგროვილი ცვეთის და ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. მიწა ფასდება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

თვითღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯებს. საკუთარი ძალებით შექმნილი აქტივის თვითღირებულება შედგება მასალების, შრომითი და ნებისმიერი პირდაპირი დანახარჯებისაგან, რომელიც საჭიროა აქტივის დანიშნულებისამებრ მუშა მდგომარეობაში მოსაყვანად, აგრეთვე სესხის ღირებულების კაპიტალიზაციის, აქტივის დემონტაჟის, მოცილების და გამწმენდი სამუშაოების ჩატარების ღირებულებას. თუ ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვან ნაწილებს სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, ისინი აღირიცხება ძირითადი საშუალების ცალკე ერთეულების სახით (ძირითადი კომპონენტები).

ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული ნებისმიერი სარგებელი ან ზარალი განისაზღვრება, როგორც ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებულ ამონაგებსა და ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და აისახება წმინდად კონსოლიდირებულ მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში როგორც სხვა შემოსავლები ან სხვა ხარჯები.

ii. შემდგომი დანახარჯები

ძირითადი საშუალებების ნაწილის შეცვლის ღირებულება აღიარდება ერთეულის საბალანსო ღირებულებაში, თუ სავარაუდოა, რომ კომპონენტში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი ჯგუფში შემოედინება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. გამოცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მოვლა-შენახვის ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგებაში ან ზარალში.

iii. ცვეთა

ძირითადი საშუალებების ერთეულები ექვემდებარებიან ცვეთის დარიცხვას მათი დამონტაჟებისა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის მომენტიდან, ან ჯგუფის შიდა ძალებით დამზადებულ აქტივთან მიმართებაში, მათი დასრულების და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის თარიღიდან. ცვეთა დაფუძნებულია აქტივის თვითღირებულებაზე, მისი სავარაუდო ნარჩენი ღირებულების გამოკლებით.

ცვეთა, როგორც წესი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით, ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივთებული, მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოსალოდნელ ფორმას. იჯარით მიღებულ აქტივებს ცვეთა ერიცხება იჯარის ვადასა და მათ სასარგებლო მომსახურების ვადას შორის უმცირესით, თუ გონივრულ ფარგლებში აშკარა არ გახდება, რომ იჯარის ვადის გასვლის შემდეგ ჯგუფი მიიღებს მათზე საკუთრების უფლებას. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

მნიშვნელოვანი ძირითადი საშუალებების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები მიმდინარე პერიოდში, შემდეგია:

შენობები	18-35 წელი
დანადგარები და საწარმოო ხაზი	6-15 წელი
ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი	3-15 წელი
საიჯარო ფართის კაპიტალური რემონტი	5 წელი
ნაყოფის მომცემი კულტურები	50 წელი
სხვა ძირითადი საშუალებები	3-8 წელი

ცვეთის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულებები გადაიხედება თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის და საჭიროებისამებრ კორექტირდება.

(კ) ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორესთვის – ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

i. ფინანსური აქტივები

საწყისი აღიარება

საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივების კლასიფიცირება ხდება როგორც შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში და სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. ჯგუფი თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი საწყისი აღიარებისას.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია საწყისი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და ჯგუფის ბიზნესმოდელზე, რომლითაც მათ მართავს. ჯგუფი ფინანსურ აქტივებს თავდაპირველად აღიარებს სამართლიანი ღირებულებით, რასაც, იმ აქტივების შემთხვევაში, რომლებიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, ემატება საოპერაციო დანახარჯები. სავაჭრო მოთხოვნა, რომელიც არ მოიცავენ დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, ან რომლისთვისაც ჯგუფმა პრაქტიკულ გამოცდილებას მიმართა, ფასდება ფასს (IFRS) 15-ით „ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“ განსაზღვრული გარიგების ფასით.

იმისათვის, რომ მოხდეს ფინანსური აქტივის კლასიფიცირება და შეფასება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იგი უნდა წარმოქმნიდეს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს“ (SPPI) დაუფარავ ძირითად თანხაზე. ამ შეფასებას ეწოდება SPPI-ტესტირება, რომელიც ინსტრუმენტის დონეზე სრულდება.

ჯგუფის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელი ეხება იმას, თუ როგორ მართავს ის თავის ფინანსურ აქტივებს ფულადი ნაკადების გამოსამუშავებლად. ეს ბიზნესმოდელი განსაზღვრავს, მიიღება თუ არა ფულადი ნაკადები სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების, ფინანსური აქტივების გაყიდვის ან ორივეს შედეგად.

ფინანსური აქტივების ისეთი ყიდვა–გაყიდვა, როდესაც საჭიროა მათი ჩაბარება ნორმატიული აქტებით ან ბაზარზე დამკვიდრებული პრაქტიკით (გარიგების სტანდარტული პროცედურა)

გათვალისწინებულ ვადაში, აღირიცხება გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც ჯგუფი იღებს აქტივის შესყიდვის ან გაყიდვის ვალდებულებას.

შემდგომი შეფასება

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა:

- ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები (სავალო ინსტრუმენტი);
- სხვა სრულ შემოსავალში ასახვით სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები დაგროვილი შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით (სავალო ინსტრუმენტები);
- სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას, დაგროვილი შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე (წილობრივი ინსტრუმენტი);
- მოგება-ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები (სავალო ინსტრუმენტი)

ეს კატეგორია ჯგუფისთვის ყველაზე აქტუალურია. ჯგუფი ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს თუ დაკმაყოფილებული იქნება ქვემოთ მოცემული ორივე პირობა:

- ფინანსური აქტივი ამ ბიზნესმოდელის მიხედვით მფლობელობაშია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს დაუფარავ ძირითად თანხაზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდგომ ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და ექვემდებარება გაუფასურებას. შემოსულობა და ზარალი მოგება-ზარალში აღიარდება მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება აქტივის მოდიფიცირება ან გაუფასურება.

ჯგუფის ამორტიზებული ღირებულებით აღიარებული ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს და სახსრებს საკრედიტო დაწესებულებებში (ფული და მათი ეკვივალენტები).

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღება) უპირატესად ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების ვადა; ან
- ჯგუფმა დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) ჯგუფმა გადასცა აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) ჯგუფმა არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

თუ ჯგუფმა გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან გააფორმა ამაზე ხელშეკრულება, იგი აფასებს, შეინარჩუნა თუ არა ან რამდენად შეინარჩუნა ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი. თუ ჯგუფმა არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, და ასევე არ გადასცა აქტივზე კონტროლი, ჯგუფი აგრძელებს გადმოცემული აქტივის აღიარებას ამ აქტივში მისი მონაწილეობის შენარჩუნების გზით. ასეთ შემთხვევაში ჯგუფი მასთან დაკავშირებულ ვალდებულებასაც აღიარებს. გადაცემული აქტივი და მასთან დაკავშირებული ვალდებულება ფასდება ჯგუფის მიერ შენარჩუნებული უფლება-მოვალეობების საფუძველზე.

მონაწილეობის შენარჩუნება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, აისახება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და ჯგუფის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით.

i. ფინანსური ვალდებულებები - კლასიფიკაცია, შემდგომი შეფასება და შემოსულობა და ზარალი საწყისი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება ისევე როგორც ფასდება - ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით თუ ის კლასიფიცირდება როგორც სავაჭროდ ფლობილი, წარმოებულია ან გამიზნულია ესეთად თავდაპირველი აღიარებისას. სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები ფასდება სამართლიანი ღირებულებით და წმინდა შემოსულობით და ზარალით, ნებისმიერი საპროცენტო ხარჯის ჩათვლით, და აღიარებულია მოგებაში ან ზარალში. სხვა ფინანსური ვალდებულებები შემდგომ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი და საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობები და ზარალები აღიარდება მოგებაში ან ზარალში. აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი ასევე აღიარებდა მოგებაში ან ზარალში.

ii. ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა მოხდება და წმინდა თანხა აისახება კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, თუ არსებული კანონი იძლევა აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის უფლებას და არსებობს აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგაქვითვის ან ერთდროულად აქტივის გაყიდვისა და ვალდებულებების დაფარვის სურვილი.

(ლ) საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი კლასიფიცირდება კაპიტალის სახით.

დამატებით გადახდილი კაპიტალის ზრდა ხდება მესაკუთრეებისგან საბაზროზე დაბალი განაკვეთის მქონე სესხების მიღების გზით. მესაკუთრეებისგან მიღებული საბაზროზე დაბალი განაკვეთის მქონე სესხების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, რომელიც დისკონტირდება საბაზრო განაკვეთის გამოყენებით. დისკონტირება აღიარდება პირდაპირ კაპიტალში გადავადებული გადასახადის გამოკლებით.

(მ) გაუფასურება**i. არაფინანსური აქტივები**

ჯგუფი თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის აფასებს, არსებობს თუ არა აქტივის შესაძლო გაუფასურების ნიშნები. რომელიმე ამგვარი ნიშნის არსებობის შემთხვევაში, ჯგუფი აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას. აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება არის აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაყიდვის ხარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი და განისაზღვრება ცალკეული აქტივისთვის. როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებულად და ჩამოიწერება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე.

გამოყენების ღირებულების განსაზღვრისას, შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დაბეგვრამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულების გამოთვლა ხდება ბოლოდროინდელი საბაზრო გარიგებების გათვალისწინებით. ამ გამოთვლების დასაბუთება ხდება შეფასების კოეფიციენტებით და სამართლიანი ღირებულების სხვა ხელმისაწვდომი მაჩვენებლებით.

ჯგუფი გაუფასურებას დეტალური ბიუჯეტებისა და ფინანსური პროგნოზების საფუძველზე გამოითვლის. ასეთი ბიუჯეტები და ფინანსური პროგნოზები ჩვეულებრივ ხუთწლიან პერიოდს მოიცავს. უფრო ხანგრძლივი პერიოდისთვის გამოითვლება გრძელვადიანი ზრდის ტემპი, რომელიც გამოიყენება ხუთი წლის შემდგომი ფულადი ნაკადების პროგნოზირებისთვის. განგრძობითი ოპერაციების გაუფასურებით გამოწვეული ზარალი, მარაგების გაუფასურების ჩათვლით, აღიარებულია კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგების ხარჯების კატეგორიებში გაუფასურებული აქტივის ფუნქციის შესაბამისად.

აქტივებისთვის ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ფასდება არსებობს თუ არა იმის ნიშნები, რომ ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალი შეიძლება აღარ არსებობდეს ან შემცირებული იყოს. ასეთი ნიშნის არსებობის შემთხვევაში, ჯგუფი აფასებს აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას. ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალის გაუქმება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ გაუფასურები ზარალის ბოლო აღიარების შემდეგ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განმსაზღვრელ დაშვებებში გარკვეული ცვლილებებია მომხდარი. აქტივის საბალანსო ღირებულებამ არ უნდა გადააჭარბოს მის ანაზღაურებად ღირებულებას და ასევე არ უნდა გადააჭარბოს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც მას ექნებოდა ცვეთის გამოკლებით წინა წლებში აქტივის გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული.

ii. ფინანსური აქტივები

ჯგუფი ყველა ფინანსური აქტივის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხავს. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეყრდნობა სხვაობას ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ფულად ნაკადებსა და ჯგუფის მოსალოდნელ ყველა ფულად ნაკადს შორის, და დისკონტირებულია თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთთან მიახლოებული განაკვეთით. მოსალოდნელ ფულად ნაკადებში შედის ფულადი ნაკადები დასაკუთრებული უზრუნველყოფის საგნიდან ან სხვა საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებებიდან, რომლებიც ხელშეკრულების პირობების განუყოფელი ნაწილია.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ორ ეტაპად აღიარდება. კრედიტის ოდენობისთვის, რომელთან მიმართებაშიც საწყისი აღიარების შემდეგ ადგილი არ ჰქონია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი განისაზღვრება დეფოლტის მოვლენებით გამოწვეული საკრედიტო ზარალისთვის, რაც შესაძლებელია მომდევნო 12 თვის განმავლობაში (12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი) კრედიტის ოდენობისთვის. რომელთან მიმართებაშიც საწყისი აღიარების შემდეგ ადგილი ჰქონდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, მოთხოვნილია ზარალის რეზერვი საკრედიტო ზარალისთვის, რომელიც მოსალოდნელია დარჩენილ ვადაზე, გადაუხდელობის ვადის მიუხედავად (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი).

სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის ჯგუფი იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს. შესაბამისად, ჯგუფი ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის რეზერვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადაზე თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის. ჯგუფმა შეადგინა ანალიზების მატრიცა, რომელიც ეყრდნობა საკრედიტო ზარალის წარსულ გამოცდილებას და დაკორექტირებულია დებიტორებისა და ეკონომიკური გარემოსთვის დამახასიათებელი პერსპექტიული ფაქტორების შესაბამისად.

საკრედიტო ინსტიტუტებში არსებული თანხებისთვის (ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები), ჯგუფმა მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე ანგარიშობს 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდის გამოყენებით. 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილი, რომელიც იწვევს დეფოლტის შემთხვევებს ფინანსურ ინსტრუმენტზე და რომლებიც შესაძლოა დადგეს საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში. თუმცა, როდესაც წარმოშობის თარიღის შემდგომ ადგილი აქვს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, რეზერვი დაეფუძნება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდს.

ჯგუფმა ფინანსურ აქტივს ვადაგადაცილებულად მიიჩნევს, როდესაც სახელშეკრულებო გადახდები ვადაგადაცილებულია 120 დღით. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, ჯგუფმა შეიძლება ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულად მაშინაც მიიჩნიოს, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიანიშნებს იმაზე, რომ სავარაუდოდ ჯგუფი სრულად ვერ მიიღებს დაუფარავ სახელშეკრულებო თანხებს, ჯგუფის მფლობელობაში არსებული საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებების გათვალისწინების გარეშე. ფინანსური აქტივი ჩამოიწერება მაშინ, როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღება მოხდება. ადრე ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ამცირებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯს.

(ნ) პირობითი ვალდებულებები და აქტივები

პირობითი ვალდებულებების აღიარება კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ ხდება, თუ არ არსებობს ვალდებულებების დასაფარი რესურსების გადინების საფუძველი, რომელიც შეიძლება სარწმუნოდ შეფასდეს.

პირობითი აქტივების აღიარება არ ხდება კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა ხდება მათი გაცხადება, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება.

27. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

არეზობს რიგი ახალი სტანდარტების, რომლებიც ძალაში შედის იმ წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2024 წლის 1 იანვრის შემდეგ, და უფრო ადრეული გამოყენება ნებადართულია; თუმცა, ჯგუფს არ გამოუყენებია ახალი ან შესწორებული სტანდარტები ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას. ქვემოთ ჩამოთვლილ ახალ და შესწორებულ სტანდარტებს არ არის მოსალოდნელი მნიშვნელოვანი გავლენა ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე;

- ფასს (IFRS) 18 „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები“
- ბასს (IAS) 21-ის ცვლილება: „ურთიერთგაცვლის შესაძლებლობის არარსებობა“
- ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაცია და შეფასება (ფასს 9-სა და ფასს 7-ში ცვლილებები).

28. საანგარიშგებო თარიღის შემდგომი მოვლენები

- საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, ჯგუფმა გადაიხადა მესამე მხარის სესხის ძირი და პროცენტი, 572 ათასი ლარისა და 228 ათასი ლარის ოდენობით, შესაბამისად.
- საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, ჯგუფმა მიიღო ახალი სესხები მფლობელებისა და ბანკისგან 1,243 ათასი ლარისა და 550 ათასი ლარის ოდენობით, შესაბამისად.